

# პრობლემის ბიზნეს-გადაწყვეტა (BUSINESS SOLUTION)


ქეთევან სხილაძე, ზუზანა პალოვა

ქეთევან სხილაძე, ზუზანა პალოვა

# პრობლემის ბიზნეს-გადაწყვეტა (BUSINESS SOLUTION)

ჩეხეთის რესპუბლიკა





ნაშრომი შექმნილია ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მენარმეობის სწავლება სკოლებში - PEERS“ ფარგლებში. პროექტი გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მენარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და საქართველოში დანერგვას.

The case study was created within the framework of the project "Potentials of Entrepreneurship Education in Schools – PEERS". Project aims to transfer best practices and experiences on applying entrepreneurship education in schools in Visegrad countries to Georgia.

## აბსტრაქტი

„Business Solution“ არის არაფორმალური განათლების ინიციატივა საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლეთათვის, რომელიც შეიქმნა ჩეხეთის რესპუბლიკის კარვინას მუნიციპალიტეტის, ოპავას სილეზიის უნივერსიტეტის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობის შედეგად. პროექტი წელიწადში ერთხელ, ერთი შაბათი-კვირის განმავლობაში ტარდება და საშუალებას აძლევს მონაწილეებს უშუალოდ ითანამშრომლონ ადგილობრივ ბიზნესთან და იმუშაონ ბიზნესის რეალურ პრობლემებსა თუ გამოწვევებზე.

## შესავალი

ჩეხეთის ზოგადი განათლების სისტემაში მენარმეობა სკოლის ფორმალურ სასწავლო გეგმასთან ინტეგრირებული არ არის. საბაზისო საფეხურის შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ არჩევანი შეაჩერონ პროფესიულ განათლებაზე, რაც შეიძლება მოიცავდეს ბიზნესს, მარკეტინგს და სხვა მონათესავე სფეროებს.<sup>1</sup> თუმცა, სამენარმეო კომპეტენციების განვითარება მოსწავლეთა ძირითად ნაწილში კვლავ პრობლემად რჩება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ჩეხეთის რესპუბლიკის მორავია-სილეზიის რეგიონის კარვინას მუნიციპალიტეტში, ბიზნესისა და სამენარმეო აქტივობის ძალიან დაბალი მაჩვენებლით როგორც მუნიციპალურ, ისე - რეგიონულ დონეზე. დამატებითი გამომწვევა აღმოჩნდა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და ახალგაზრდების გადინება პრაღასა და ქვეყნის დასავლეთ ნაწილის სხვა ქალაქებში.

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო გზების მოსაძებნად, კარვინას მუნიციპალიტეტში შეიქმნა საბჭო სხვადასხვა მხარეთა ჩართულობით, როგორცაა: ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესის წარმომადგენლები და სილეზიის უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სკოლა (მდებარეობს კარვინაში). 2016 წელს შედგა „Business Solution“-ის პირველი გამოშვება. პროექტი ზემოაღნიშნული ჩართული მხარეების ერთობლივი ორგანიზებით წარიმართა. მას რამდენიმე მიზანი ჰქონდა:

- ▶ კარვინას შრომის ბაზარზე საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ▶ საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლეთა ზოგადი ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გავრცელება მენარმეობის, პროექტის მენეჯმენტის, მარკეტინგის, კომუნიკაციების და ინოვაციების მენეჯმენტის შესახებ;
- ▶ მონაწილეთა შორის სამენარმეო უნარების განვითარება;
- ▶ ინოვაციური ბიზნეს გადაწყვეტილებების ხელშეწყობა;
- ▶ რეგიონში ბიზნეს აქტივობისა და ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა.

<sup>1</sup> European Commission (2022). National Education Systems: Czech Republic, Euridyce. Retrieved June 2022, from ევროპის კომისია (2022). ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები: ჩეხეთის რესპუბლიკა, ევრიდიკე. მოძიებულია 2022 წლის ივნისში ლინკზე: <https://euridyce.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/czech-republic/overview>

ჩამოთვლილი ზოგადი მიზნების გარდა, პროგრამით განზრახულია უფრო კონკრეტული ამოცანების მიღწევა:

- ▶ დაეხმაროს მოსწავლეებს თეორიული ცოდნის რეალურ პრაქტიკასთან დაკავშირებაში;
- ▶ ხელი შეუწყოს საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლეებს, უნივერსიტეტსა და ადგილობრივ ბიზნესს შორის თანამშრომლობას;
- ▶ მომზადდნენ კვალიფიციური კადრები და/ან მენარმეები.

## პროექტის განხორციელება

პროგრამაში მონაწილე სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა როლი აქვთ (იხ: დიაგრამა 1):

- ▶ კარვინას მუნიციპალიტეტი პროექტს უზრუნველყოფს სათანამშრომლო სივრცითა და ტექნიკური აღჭურვილობით/მონყობილობით („ბიზნეს კარიბჭე“);
- ▶ უნივერსიტეტი შესაბამის ცოდნასა და ექსპერტიზას გამოყოფს მენარმეობის, ბიზნესის, მარკეტინგისა და სხვა სფეროების მიმართულებით;
- ▶ ადგილობრივი ბიზნესი წარმოადგენს კონკრეტულ პერიოდში მის წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, რასაც შემდეგ მონაწილეები აანალიზებენ;

ინფორმაცია პროგრამის შესახებ იგზავნება ადგილობრივ სკოლებში, რომლებიც ვალდებულია იღებენ, მიღებული ინფორმაცია გაუზიარონ მოსწავლეებს. მოსწავლე, ვისაც სურვილი აქვს განაცხადი გააკეთოს აღნიშნულ პროგრამაზე, გადის შერჩევის პროცესს, რომელიც სასკოლო მოსწრებისა და სამოტივაციო წერილის ჩათვლით, რამდენიმე ასპექტს მოიცავს. პროგრამა ექსკლუზიურია, თუმცა, აქვე იგულისხმება, რომ მისი დასრულების შემდეგ, შერჩეული მონაწილეები ელჩების ფუნქციას შეასრულებენ და ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ თანატოლებს, თანაკლასელებს და მეგობრებს. როგორც წესი, პროგრამის მონაწილეთა ასაკი 17–19 წელია, მაგრამ მკაცრი ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს. საწყის ეტაპზე, პროგრამა კონკურსის ფორმატით იყო ორგანიზებული, სადაც სტუდენტთა გუნდები ერთმანეთს პირველი ადგილისთვის და სხვადასხვა პრიზისთვის ეჯიბრებოდნენ. მოგვიანებით, საორგანიზაციო გუნდის გამოცდილებაზე და მონაწილეთა უკუკავშირზე დაყრდნობით, მიდგომა შეიცვალა. დღეისათვის, პროგრამას უფრო სოციალიზაციის ხასიათი აქვს. პროექტი მხარდაჭერილია ფონდი OKD-ის მიერ. OKD რეგიონში მომუშავე ქვანახშირის მომპოვებელი კომპანიაა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, რეგულარულად აფინანსებს სათემო განვითარებისკენ მიმართულ პროექტებს, განსაკუთრებით კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.<sup>2</sup>

აპლიკაციების მიხედვით, პროგრამისთვის არჩევენ დაახლოებით 40 მონაწილეს, რომლებიც ერთ-ერთ შაბათ-კვირას თავს იყრიან „ბიზნეს კარიბჭის“ ტერიტორიაზე. პროგრამა რამდენიმე საფეხურისგან შედგება:


- ▶ თავდაპირველად, ყალიბდება მოსწავლეთა რამდენიმე გუნდი და ტარდება გუნდის შეკავშირების აქტივობები. თითოეულ გუნდს ჰყავს ლიდერი და ხელმძღვანელი – სილეზიის უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სკოლის სტუდენტი. საწყისი ეტაპის შემდეგ, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მონაწილეებს სათანადო ტრენინგს უტარებენ. ტრენინგის მიზანია მოსწავლეებმა მიიღონ შესაბამის პრობლემაზე მუშაობისათვის საკმარისი ცოდნა და ინფორმაცია.
- ▶ ამის შემდეგ, მოსწავლეები ხვდებიან ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს. ისინი წარადგენენ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაზეც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ. კომპანიებს პრობლემათა აღწერის გამოგზავნა წერილობითაც შეუძლიათ.

<sup>2</sup> Information retrieved June 2022, from official webpage of OKD ინფორმაცია მოძიებულია 2022 წლის ივნისში OKD ოფიციალურ ვებ გვერდზე: <https://www.okd.cz/en/csr/our-community>

როგორც წესი, საკითხები ეხება ეფექტური მარკეტინგული მექანიზმების/ინსტრუმენტების განვითარებას და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობას.

- ▶ შემდგომ, გუნდებს ეძლევათ გარკვეული დრო პრობლემაზე სამუშაოდ. პირველ რიგში, გუნდი სწავლობს და აანალიზებს კომპანიას, პრობლემას და მომხმარებელთა სამიზნე ჯგუფებს. შემდეგ, გუნდის წევრები პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობებს შეიმუშავენ და შესაბამის კამპანიას გეგმავენ.
- ▶ შემდეგ ეტაპზე, მოსწავლეთა გუნდები ამზადებენ საკუთარი ნაშრომების ამსახველ პრეზენტაციას, რომელიც კომპანიებს წარედგინება. პრეზენტაციას მოჰყვება დისკუსია, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები იღებენ რელევანტურ და ღირებულ უკუკავშირს კომპანიებისგან და პროგრამაში ჩართული სხვა პარტნიორებისგან. ამასთან, მათ გადაეცემათ პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

### დიაგრამა 1: პროექტის მონაწილე მხახეები



## სარგებელი

აღსანიშნავია, რომ პროექტს მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს მასში ჩართული თითოეული დაინტერესებული მხარისათვის:

- 01** მონაწილეები (საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლეები) – არამხოლოდ ღირებულ ცოდნას და გამოცდილებას იღებენ მენარმეობის, ბიზნესის, მარკეტინგისა და სხვა სფეროების შესახებ, არამედ, პროექტი მათ ეხმარება განივითარონ მნიშვნელოვანი კომპეტენციები, როგორცაა გუნდური მუშაობა, შემოქმედებითობა, საჯარო გამოსვლა, იდეების გაყიდვა, კომუნიკაცია და ა.შ. მეტიც, პროექტი კავშირების დამყარების შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს, გაზარდონ საკუთარი სოციალური კაპიტალი და ამ გზით აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე.
- 02** უნივერსიტეტი – ბიზნეს ადმინისტრირების სკოლა მონაწილეებს სთავაზობს სტიპენდიას პირველი სასწავლო წლისათვის. პროექტი კარგი საშუალებაა უნივერსიტეტისთვის შესაბამისი მომავალი სტუდენტების მოსაზიდად. პარალელურად, უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი თავი გამოსცადონ პროექტის მენტორების ამპლუაში, მიიღონ ღირებული სამუშაო გამოცდილება და თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ.

**03** ადგილობრივი ბიზნესი – პროექტში ჩართულ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ მოძებნონ პრობლემათა გადაჭრის ინოვაციური გზები, ნაკლები დანახარჯებით და გაზარდონ შემოსავლები. მათ ასევე ეძლევათ შესაძლებლობა პროექტი მომავალი თანამშრომლების რეკრუტირებისთვის გამოიყენონ.

**04** კარვინას მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა აქვს პროექტიდან სარგებელი მიიღოს ბიზნესისა და სამეწარმეო საქმიანობისა და ახალგაზრდული ინიციატივების ინტენსივობის პოტენციური ზრდით, რეგიონის მასშტაბით. ასევე, ახალგაზრდების გადინების შესაძლო შემცირებით.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები პროგრამას მონაწილე მხარეებისთვის ურთიერთსასარგებლოს ხდის, რაც მათ პროექტში განგრძობითი მონაწილეობის და წარმატებული თანამშრომლობის ჩამოყალიბების მოტივაციას უქმნის.

## გამონვევა

პროექტის მიმდინარეობის ექვსი წლის განმავლობაში გამოიკვეთა გარკვეული გამონვევებიც, რომელთა დაძლევაზეც პროექტის ორგანიზატორები აქტიურად მუშაობენ.

- ▶ გასული ორი წლის მანძილზე COVID 19-ის პანდემია სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა პროგრამის მაღალი სტანდარტით განხორციელებისთვის. იყო პროექტის ონლაინ ფორმატზე მორგების მცდელობა, თუმცა ეს სტუდენტებისთვის გამოწვევა და დემოტივაციის წყარო აღმოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ პროექტი 2022 წელს ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად ჩატარდება. მიმდინარე წლის გამოშვება ამჟამად მოსამზადებელ ფაზაშია და სექტემბრისთვის ან ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი.
- ▶ როგორც ზემოთაც აღინიშნა, პროექტში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, რომელთაგან თითოეულს სხვადასხვა ინტერესი და მოტივაცია აქვს. ინტერესთა თანხვედრა და სხვადასხვა საკითხზე შეთანხმების მიღწევა ყოველთვის იოლი არ არის. მიუხედავად ამისა, პროექტის გუნდი ცდილობს გამოიყენოს საუკეთესო პრაქტიკები, თანამშრომლობის ხელშეწყობისა და ეფექტიანი/ქმედითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.
- ▶ ამ დრომდე პროექტის მონაწილეები მუშაობენ კერძო ორგანიზაციების წინაშე მდგარ გამოწვევებზე. პროექტის გუნდს სურს პროექტში საჯარო სექტორის (ამ შემთხვევაში, უშუალოდ მუნიციპალიტეტის) წინაშე მდგარი საკითხების გათვალისწინებაც, მაგრამ ეფექტური ფორმატი ამ მიმართულებით ჯერჯერობით ვერ გამოიძებნა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გრძელდება.
- ▶ ინოვაციებისა და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მაგრამ მიზნის მიღწევის გზაზე უმთავრეს გამოწვევად საზოგადოებრივი აზრი რჩება. კერძოდ, ჩეხეთის მოქალაქეთა დიდი ნაწილი კვლავ ამჯობინებს იყოს დაქირავებული, ვიდრე გახდეს მენარმე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო კომპეტენციები მნიშვნელოვანია არამხოლოდ ბიზნესის ინდივიდუალურად წარმოებისათვის, არამედ - ადამიანების შრომის ბაზართან შესაბამისობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვისაც.

## დასკვნა

„Business Solution“ შეიძლება ჩაითვალოს ქვემოდან ზემოთ (Bottom-up) მიმართული ინიციატივის და თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითად. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა, ჩეხეთის რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებს შეუძლიათ სცადონ მსგავსი მიდგომების დანერგვა, რათა დაძლიონ ისეთი გამოწვევები, როგორცაა ახალგაზრდებს შორის სამენარმეო კომპეტენციების ნაკლებობა და დაბალი ბიზნეს აქტივობა.

ამ კონკრეტული შემთხვევის შედარებით ვიწრო, რეგიონული მასშტაბი მიუთითებს, რომ პროგრამის ადმინისტრირება ფართო (მაგალითად, ქვეყნის) მასშტაბით გაცილებით რთული იქნება. გართულება პროგრამის გარდაქმნა განათლების ეროვნული პოლიტიკის ეფექტურ ინსტრუმენტად. პროცესს შეაფერხებს პროგრამის შერჩევითი ფორმატი, რამდენადაც ინკლუზიურობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლების ნებისმიერი რეფორმისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა იყოს. თუმცა, პროექტი მაინც გვთავაზობს რამდენიმე სასარგებლო გაკვეთილს. პროცესში უნივერსიტეტისა და ბიზნესის ჩართვა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომა განსაკუთრებით ეფექტური ჩანს. მიუხედავად ამისა, პროექტის შედეგებისა და წვლილის სისტემური შეფასება ჯერ კიდევ ჩასატარებელია. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მონაწილეებს და სხვა პარტნიორებს არსებითი სარგებლის მიღება უკვე შეუძლიათ. ყოველივე ამას კი მივყავართ დასკვნამდე, რომ პროექტს აქვს საყურადღებო პოტენციალი არამხოლოდ კარვინასთვის, არამედ, სავარაუდოდ, ჩეხეთის რესპუბლიკის სხვა რეგიონებისა და სხვა ქვეყნებისთვისაც.

## ბიბლიოგრაფია და ინფორმაციის წყაროები:

- ▶ ევროპული კომისია (2022) ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები: ჩეხეთის რესპუბლიკა, ევრიდიკე. ინფორმაცია მოძიებულია 2022 წლის ივნისში, ლინკზე: <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/czech-republic/overview>
- ▶ ჩეხური ენის გარდა სხვა ენებზე არსებული საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების ნაკლებობის გამო, წარმოდგენილი ინფორმაცია, ამ შემთხვევაში ეყრდნობა ერთ-ერთი ავტორის (ზუზანა პალოვას) პირად გამოცდილებას პროექტთან დაკავშირებით, ასევე ბატონ პეტრ კანტორთან ინტერვიუს, რომელიც პროექტის საორგანიზაციო გუნდის წევრია.

Ketevan Skhiladze, Zuzana Palova

# **BUSINESS SOLUTION**

**CZECH REPUBLIC**

## ABSTRACT

Business Solution is a non-formal educational initiative for high school students developed collaboratively by the Municipality of Karvina in Czech Republic, Silesian University in Opava and a local non-governmental organization. The project takes place annually over the course of a weekend and allows the participants to directly collaborate with local businesses and work on real-life business problems and challenges.

## INTRODUCTION

In Czech system of general education, entrepreneurship is not integrated in the formal school curriculum. After finishing basic educational level of lower secondary school (which is compulsory), students can opt for vocational studies, which can include business, marketing and other related fields.<sup>1</sup> However, developing entrepreneurial competences remains problematic in the general student population. It became particularly evident in Karvina Municipality in the Moravian-Silesian Region of the Czech Republic in the form of a very low business and entrepreneurial activity in the Municipality and the Region. An additional challenge is proved to be a high rate of unemployment and youth outflow to Prague and other cities in the western part of the country.

To come up with possible solutions to the aforementioned problems a council format of different stakeholders was created in Karvina municipality. The stakeholders include: local authorities, non-governmental organizations, businesses and the School of Business Administration of the Silesian University (housed in Karvina). In 2016, the first edition of Business Solution took place. The project is co-organized by the aforementioned stakeholders and has several main goals:

- ▶ Increasing employability and competitiveness of high school students and graduates in Karvina on the job market;
- ▶ Raising overall awareness and dissemination of knowledge in high school students on entrepreneurship, project management, marketing communication and innovation management;
- ▶ Developing entrepreneurial skills in the participants;
- ▶ Fostering innovative business solutions;
- ▶ Fostering business activity and youth initiative in the region.

Apart from the general goals, there are more specific objectives the program aims to meet:

- ▶ Helping students link theoretical knowledge with actual practice,
- ▶ Fostering cooperation between high school students, the university and local businesses
- ▶ training qualified future employees and/or entrepreneurs.

---

<sup>1</sup> European Commission (2022). National Education Systems: Czech Republic, Euridyce. Retrieved June 2022, from <https://euridyce.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/czech-republic/overview>

# PROJECT EXECUTION

Different stakeholders assume different roles in the program (See Chart 1):

- ▶ The Municipality of Karvina provides the project with technical facilities of a coworking space (Business Gate).
- ▶ The University provides know-how and expertise on the subjects of entrepreneurship, business, marketing etc.
- ▶ Local businesses present the problems and challenges they face for the time being, which are then analyzed by the participants.

Information regarding the program is sent to local high schools, who in turn inform their students. Students willing to participate apply for a spot in the program and go through a selection process which considers different aspects including their school records and motivational letters (The program is exclusive, but it is implied that upon completion of the program, the selected participants will act as ambassadors and share their knowledge and experience with peers, classmates and friends). Participants are normally 17-19 years of age, but there is no strict age limit. Initially, the program was organized in a competition format, where teams of students would compete for the top spot and various prizes. The approach was later modified based on the experience of the organizational team and feedback from participants. Nowadays it has a rather socializing nature. The funding for the project is provided by the OKD foundation. OKD is a coal mining company operating in the region, and in the frames of Corporate Social Responsibility, regularly funds projects aimed at community development, especially cultural, sports and educational activities.<sup>2</sup>


Based on their application, around 40 participants are selected, who are gathered at the premises of Business Gate during one weekend. The program has several stages:

- ▶ Initially, several teams of students are formed and teambuilding activities are carried out. Each team gets a student of School of Business Administration of the Silesian University as a team leader and guide. After the initial phase, participants receive relevant training from university faculty and students. The training aims to give the students sufficient information and knowledge to be able to work on respective problems.
- ▶ Afterwards, the students meet the representatives of local businesses who present them with the problems they will have to work on, or they receive a written description of a problem from a company. The topics are normally related to developing effective marketing tools and increasing sales.
- ▶ Teams are then given certain amount of time to work on the problem. For this, they first study and analyze the company, the problem, and target groups of customers. Then they come up with possible solutions and plan a corresponding campaign.
- ▶ On the next stage, teams of students prepare presentations on their work, which is demonstrated to the companies. Subsequent discussion takes place, where students receive relevant and valuable feedback from companies and other stakeholders. They also receive a certification that attests to their participation in the program.

---

<sup>2</sup> Information retrieved June 2022, from official webpage of OKD <https://www.okd.cz/en/csr/our-community>

**Chart 1: Project stakeholders**



## BENEFITS

It is worth noting that the project entails important benefits to each of the stakeholders involved:

- 01** Participants (High school students) – Not only do the participants gain valuable knowledge on subjects like entrepreneurship, business, marketing etc. and valuable experience, the project helps them develop important competencies like teamwork, creativity, public speaking, idea pitching, communication etc. Furthermore, the project serves as an excellent networking opportunity for the participants, who are able to gain social capital and increase their competitiveness on the job market through it.
- 02** The University – As the School of Business Administration offers to the participants a scholarship for the first year of their studies, the project serves as a means for the university to recruit qualified future students. Simultaneously, current students of the university are given the opportunity to try themselves in the mentoring aspect of the project, gain valuable practical and work-related experience and use their theoretical knowledge in action.
- 03** Local Businesses – Companies involved in the project are able to seek innovative solutions to their problems with low expenses and therefore prospectively increase their income. They are also able to use the project as a tool for recruiting future employees.
- 04** The Municipality of Karvina can benefit from the project in terms of prospective increase in business and entrepreneurial activity and rates of youth initiative in the region as well as prospective reduction of youth outflow.

The factors mentioned above make the program mutually beneficial for the parties involved which in turn creates motivation for them to continuously take part in the project and establish successful collaboration.

## CHALLENGES

Over the course of six years of the project's lifespan some challenges have emerged which project organizers are continuously working on.

- ▶ For the past two years Covid 19 pandemic has proved to be a serious obstacle for the program to be executed to a high standard. It has been attempted to adjust the project to an online format, but it proved to be both challenging and demotivating for students. It means that in 2022 the first edition of the project in three years is going to take place. This year's edition is currently in the preparatory phase and scheduled for September or October.
- ▶ As mentioned above, the project involves different stakeholders, each of which have different interests and motivation. It is not always easy to reconcile those interests and reach an agreement on various areas. However, the project team tries to use best practices to foster collaboration and efficient decision-making.
- ▶ So far, the participants have been working on challenges that private entities face. The project team wants to incorporate topics and matters that concern the public authorities (namely the Municipality in this case). They haven't been able to come up with an effective format to do it, but they are willing to continue working in this direction.
- ▶ Fostering innovation and entrepreneurial activity is one of the main goals of the project, but public mindset remains one of the main challenges on the way of realizing this goal. Namely, a large proportion of Czech citizens still prefer to be employed by someone else rather than be an entrepreneur. It is worth noting however, that entrepreneurial competencies are important for not only doing business independently, but also for increasing one's relevance and competitiveness on the job market.

## CONCLUSION

Business Solution can be considered a successful example of a bottom-up initiative and collaborative action. Although there has been no evidence of it yet, other municipalities and regions in the Czech Republic could try to adopt a similar approach in order to overcome challenges like lack of entrepreneurial competencies in youngsters and low levels of business activity. A relatively narrow, regional scope of this particular case indicates that it would be much more difficult to be administered on a larger (say, countrywide) scale. This would also complicate its translation into an effective tool for national education policy. This process would be further hindered by the selective format of the program, as inclusion and equal access should be important aspects of any educational reform. However, the project still provides some useful lessons. Incorporation of universities and businesses in the process and a collaborative approach seem particularly effective. Although a systematic assessment of the project's outcomes and contributions has yet to be carried out, participants, as well as other stakeholders can gain substantial benefits as discussed above. It leads to the conclusion that the project has significant potentials not in Karvina, but possibly in other regions of Czech Republic and outside the country as well.

## BIBLIOGRAPHY AND SOURCES OF INFORMATION:

- ▶ European Commission (2022). National Education Systems: Czech Republic, Euridyce. Retrieved June 2022, from <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/czech-republic/overview>
- ▶ Due to lack of publicly accessible sources in languages other than Czech, the information presented in the case is primarily based on one of the Author's (Zuzana Palova) personal encounter with the project as well as on an interview with Mr. Petr Kantor, who is a member of the organizational team of the project.

პეტრა კრეშჩი, ირაკლი მაჭარაშვილი

## ბიზნეს კლუბების პროექტი მორავია-სილუზიის რეგიონში

ქვეყანა: ჩეხეთის რესპუბლიკა

ნაშრომი შექმნილია ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მენარმეობის სწავლება სკოლებში - PEERS“ ფარგლებში. პროექტი გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მენარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და საქართველოში დანერგვას.

The case study was created within the framework of the project "Potentials of Entrepreneurship Education in Schools – PEERS". Project aims to transfer best practices and experiences on applying entrepreneurship education in schools in Visegrad countries to Georgia.

## შესავალი

სიტუაციის ანალიზი ეხება პროექტს სახელწოდებით „სასკოლო სამეწარმეო კლუბები“, რომლებიც ჩეხეთის რესპუბლიკის ოლქ კარვინაში (მორავია-სილეზიის რეგიონი), დაწყებითი განათლების საფეხურზე ხორციელდება. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მიმოიხილოს სამეწარმეო-ბიზნეს კლუბების დაარსების გამოცდილება, მათ შორის, კლუბების ლიდერების შერჩევის, კლუბების მმართველობის ფორმები და ტრენინგის მეთოდები. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციები მეთოდოლოგიისა და მექანიზმის გამოყენების შესახებ.

კვლევის მიზანია აღწეროს არაფორმალური განათლების სექტორში, არსებული წარმატებული პრაქტიკა, კონკრეტულად კი, სამეწარმეო კლუბები და მათი განვითარება. ძირითადი ყურადღება ეთმობა კლუბების პრაქტიკულ სარგებლებს, სასარგებლო გამოცდილებასა და ხედვას კლუბების სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ეს კონკრეტული გამოცდილება, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ეხება ბიზნეს კლუბების პროექტს, რომელიც ჩეხეთში, კერძოდ კი მორავია-სილეზიის რეგიონში, კარვინას ოლქში განხორციელდა.

კვლევა მიმოიხილავს სამეწარმეო კლუბების სისტემებს. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ამ გამოცდილების შედეგებზე, კლუბების დაარსებასა და მათ განვითარებაზე 2018-2021 წლებში. ეს ინფორმაცია, ისევე როგორც სამეწარმეო კლუბების მოშაობის მეთოდოლოგია, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება სხვა პოტენციური ბიზნეს კლუბებისათვის. კონკრეტულად ამ მიზნით, დოკუმენტში ასევე მოცემულია კლუბების სხვადასხვა მოდელები და სასკოლო ბიზნეს კლუბების ორგანიზაციული სტრუქტურა. პრაქტიკის გაზიარება ასევე გულისხმობს იმ ზომებსაც, რომლებსაც შეუძლია გააუმჯობესოს სწავლება სხვადასხვა კლუბების ფარგლებში. კვლევა სრულდება შედეგების შეჯამებითა და სამეწარმეო კლუბების სამომავლო ხედვების ირგვლივ მსჯელობით.

## აღწერა:

სამენარმეო კლუბები ჩეხეთში ათიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების განვითარების პროექტის ფარგლებში დაარსდა, რომელიც 2018-დან 2021 წლამდე მიმდინარეობდა. პროექტის განხორციელებასა და მის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კოვიდ-19-ის პანდემიამ. პროექტი მიზნად ისახავდა მე-6-9 კლასის მოსწავლეების უნარების განვითარებას (მაგ. კრეატიულობა; ინოვაციურობა; რისკების მიმდებლობა; დაგეგმვისა და კონკრეტული მიზნების მისაღწევად, პროექტების მართვის უნარი.) და მათ მხარდაჭერას, საკუთარი იდეები პრაქტიკაში განხორციელებინათ. ამასთან, მისი ერთ-ერთი ამოცანა იყო მოსწავლეთათვის დაენახებინა განსხვავება აქტიურობასა და პროაქტიურობას შორის.

პროექტი თავდაპირველად ითვალისწინებდა სამენარმეო კლუბების დაარსებას განათლების დაწყებით საფეხურზე. ამ მიზნით, კარვინას ოლქიდან შეირჩა ექვსი სკოლა, რომელთა მასწავლებლებიც მიიწვიეს პროექტში მონაწილეობის მისაღებად. მომდევნო ეტაპზე, მონაწილე მასწავლებლებს ლექტორის ფუნქცია მიენიჭათ. ისინი ხელმძღვანელობდნენ დაწყებითი სკოლების იმ მოსწავლეების შერჩევის პროცესს, რომლებიც მოგვიანებით კლუბის წევრები უნდა გამხდარიყვნენ. მასწავლებლის მოვალეობაში ასევე შედიოდა სამენარმეო კლუბების ხელმძღვანელობა. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, რადგან მოსწავლეები უკვე იცნობდნენ და ენდობოდნენ მათ. ასევე, შეირჩნენ კოორდინატორები, რომლებსაც ევალუბოდათ კლუბების მართვა, ლექტორების დახმარებით.

დასაწყისიდანვე, ორგანიზატორებმა დაიწყეს კლუბების მუშაობის მეთოდოლოგიაზე მუშაობა. ეს იყო რამდენიმე საინფორმაციო წყაროს ინტეგრირებული ვარიანტი, რაც კონკრეტული კლუბის საჭიროებებს უნდა მორგებოდა. ძირითადი წყარო იყო ვებ-პორტალი [www.podnikavost.cz](http://www.podnikavost.cz), რომელიც ახალგაზრდების არაფორმალური განათლებისა და მენარმეობის განვითარების მიზნით შეიქმნა. მეთოდოლოგია შედგებოდა შემდეგი წყაროებისგან:

- ▶ „სამენარმეო განათლება“ - პალაკის უნივერსიტეტის (Palacky University) მიერ შედგენილი მეთოდოლოგიური გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის სკოლებისთვის.
- ▶ ზოგადი მასალები ბიზნესის შესახებ - რატომ უნდა გვქონდეს ბიზნესი, ბიზნესის ფორმები, როგორ გავხდეთ თვითდასაქმებული (ჩეხურად "OSVČ"), როგორ დავაფუძნოთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს), როგორ შევქმნათ ბიზნეს გეგმა, როგორ ვიპოვოთ იდეა და მოვიძიოთ დაფინანსება, ქსელური მუშაობა და ურთიერთობები სფეროს წარმომადგენლებთან ([www.podnikavost.cz](http://www.podnikavost.cz)).
- ▶ საკუთარი მეთოდოლოგია - თავად მასწავლებლებისა და კოორდინატორების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, საკუთრივ მათი ჯგუფებისთვის, რომელიც სხვა ჯგუფებზე ვერ განხორციელდება. აღნიშნული მოიცავს ისეთი თემებს, როგორიცაა იდეების მოძიება, ვინ ვარ მე, კომპეტენციები და მენარმეობასთან დაკავშირებული გამოწვევები, პირველი შთაბეჭდილებების ჩანაწერი, გაკვეთილების სტრუქტურა (თამაშები და თეორიები), დელეგირება, შრომის ბაზარი.

პროექტის გუნდის პირველი შეხვედრებისას ლექტორები და კოორდინატორები განაწილდნენ სკოლებში. ამავე შეხვედრებზე განიხილებოდა კლუბების მენეჯმენტის მეთოდოლოგიები და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხები. კლუბების მუშაობის დაწყებამდე, ლექტორებმა და კოორდინატორებმა გაიარეს ტრენინგი არაფორმალურ განათლებასა და მისი ფორმების პრაქტიკულ გამოყენებაში. გაერთიანებული ჯგუფი ყოველთვე იკრიბებოდა ინფორმაციის გაცვლის, პროექტის მიმდინარეობისა და ინდივიდუალური კლუბის მართვის საკითხების ირგვლივ სამსჯელოდ. კლუბი შედგებოდა პროექტის გუნდისგან, ლექტორებისა და კოორდინატორებისგან.

როგორც უკვე ითქვა, შემუშავებული მეთოდოლოგიის გამო, კლუბების მიმართ მიდგომა უფრო ფორმალური იყო. თუმცა, პირველი წლის განმავლობაში, ცხადი გახდა, რომ სისტემა ეფექტურად ვერ მუშაობდა. ლექტორებმა და კოორდინატორებმა გადაწყვიტეს მეთი ყურადღება დაეთმოთ ინდივიდუალური კლუბებისა და მათი გუნდებისათვის. შესაბამისად, დაინერგა უფრო ინდივიდუალური მიდგომა. საჭირო იყო პროცესის უნაკლოდ წარმართვა, რაც მოითხოვდა უწყვეტ უკუკავშირსა და კოორდინაციას.


პროექტის დაწესებამდე ეფექტური კომუნიკაციის ნაკლებობის, ასევე გზამკლევითი მასალების არაეფექტურობისა და ბუნდოვანი მეთოდოლოგიის გამო, სისტემამ ცუდად იმუშავა.

თავდაპირველად პროცესი ქაოტურად წარმოებდა, რადგან სამეწარმეო კლუბების დაარსებისა და მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესები პარალელურად მიმდინარეობდა. შედეგად, როგორც ლექტორებს, ასევე კოორდინატორებს, სპონტანურად მოქმედება უწევდათ პროდუქტებისა და სერვისების შექმნის, ასევე პროექტის მართვის პროცესში. მოგვიანებით, თავი იჩინა კიდევ ერთმა პრობლემამ, კერძოდ, კლუბების ჩამოყალიბებისთვის გამოყოფილმა დროის სიმცირემ. აღნიშნულისათვის მხოლოდ ოთხი თვე იყო განსაზღვრული. შესაბამისად, ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ ეს გამოცდილება გაიზიარონ, რეკომენდებულია მეთოდოლოგიის შემუშავება კლუბების ჩამოყალიბებამდე.

## სამეწარმეო კლუბების მოდელი

პროექტის არსში უკეთ გასარკვევად, ქვემოთ შემოთავაზებულია პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა (სურათი 1). სტრუქტურის ზედა ნაწილში მითითებულია მუნიციპალიტეტი, რადგან იგი წარმოადგენდა აპლიკანტს, ხოლო მის გვერდით მოცემულია პროექტის ორი პარტნიორი: ორგანიზაცია, სახელწოდებით PETRKLÍC HELP და „ბიზნესის მხარდაჭერის ცენტრი.“ სტრუქტურის მომდევნო დონეზე ნაჩვენებია მეთოდოლოგიური მხარდაჭერისა და განმახორციელებელი გუნდები, რომლებსაც დახმარებას უწევენ კომპანიები, უნივერსიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სკოლები. შემდეგ მოცემულია კოორდინატორები და ლექტორები, რომლებისგანაც დაკომპლექტებულია თითოეულ სკოლაში მომუშავე ორწევრიანი გუნდები. და ბოლოს, სტრუქტურაში ასევე შეყვანილია სამეწარმეო კლუბების საქმიანობაში ჩართული მოსწავლეების გუნდები.

**სურათი 1.** „სასკოლო სამეწაფეო კლუბების“ პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა



წყარო: ავტორების მიერ დამუშავებული ინფორმაცია

პროექტი მოიცავდა ოთხთვიან მოსამზადებელ პერიოდს (თებერვალი - მაისი), რომელიც წინ უძღოდა კლუბების დაარსებას. მომდევნო წელს, საქმიანობა მიმდინარეობდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, დაახლოებით ცხრა თვის განმავლობაში (სექტემბერი - მაისი). კლუბებს არ უმუშავიათ სასწავლო წლის ბოლო თვეს - ივნისში.

პირველი სამეწაფეო კლუბები უფრო საცდელ ხასიათს ატარებდა. პირველ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კლუბების წევრებმა, ლექტორებმა და კოორდინატორებმა. მომდევნო ორი შეხვედრისას (რომლებიც კვირაში ერთხელ იმართებოდა), მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ თავად აერჩიათ შეხვედრაზე განსახილველი საკითხები. გუნდის წევრებს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდათ - პროექტის, სერვისის ან პროექტის შემუშავება, რომლებიც მათ საბოლოო შეხვედრაზე უნდა წარედგინათ. კლუბებში ასევე ეწყობოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებითი თამაშები, რომლებიც 5-15 წუთი გრძელდებოდა და მიზნად ისახავდა არა მხოლოდ გართობას, მონაწილეების გახსნას, არამედ კრეატიული აზროვნების წახალისებასაც. ამის შემდეგ დგებოდა რეფლექციის სესიის დროც, როდესაც კლუბებში მსჯელობდნენ განხორციელებულ საქმიანობაზე და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია მოსწავლეების მიერ მოფიქრებული რამდენიმე იდეა:

- ▶ ქალაქ კარვინას შესახებ 3D თამაშის შექმნა;
- ▶ გარემოსდაცვითი პროექტი ნარჩენებისთვის სორტირების პრაქტიკის წახალისებისთვის;
- ▶ YouTube არხის შექმნა;
- ▶ სკოლებში ტუალეტების რეაბილიტაცია-განახლება;
- ▶ ექსკურსიები მოსწავლეებისთვის;
- ▶ ხანდაზმულებისთვის თავშეყრის ადგილის მოწყობა და ყინულის მოედნის მოწყობა ქალაქში;

სასკოლო წლის დასასრულისთვის, მოეწყო კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც მონაწილეობა ყველა კლუბის გუნდმა მიიღო. მოსწავლეებმა შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინეს საკუთარი პროექტი, სერვისი თუ პროექტი. მათ ასევე შესაძლებლობა მიეცათ პროექტის შესახებ მოწვეულ პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექსპერტებთან ერთად ემსჯელათ. თავის მხრივ, ექსპერტებმა საკუთარი მოსაზრება გაუზიარეს მოსწავლეებს. მოსწავლეებმა ასევე მოისმინეს მოსაზრებები საკუთარ ნამუშევართან დაკავშირებით. შედეგად, მათ ნება დართეს გააგრძელონ მუშაობა მომდევნო წელსაც ან ნაწილობრივ მიეღოთ მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში.

## მიღწეული შედეგები

პროექტის შედეგები საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა. ძირითად შედეგად შეიძლება ჩაითვალოს წვდომა სამეწარმეო კლუბებზე. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების გარკვეული ჯგუფების მიმართ საჭირო იყო არაფორმალური და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება. თითოეული ჯგუფი განსხვავებული ახალგაზრდებისგან შესდგებოდა, შესაბამისად, შეუძლებელი აღმოჩნდა ყველა მოქმედი კლუბისთვის ერთი და იგივე კურსის შეთავაზება. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულ მეთოდოლოგიას გუნდები ინსტრუმენტად იყენებდნენ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდოლოგია ყველა გუნდთან მიმართებაში არ იყო ეფექტური.

ტრენერი არ უწევდა დახმარებას გუნდებს თემების შერჩევაში. ამის ნაცვლად, თემები შეირჩეოდა მონაწილეების საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე.

